

## ტრენინგი სოფელ დანისპარაულში

19.09.2021 - 20.09.2021

### ტრენინგის შესახებ

ტრენინგი განკუთვნილია ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დანისპარაულში არსებული სასტუმრო სახლების წარმომადგენლებისათვის. ტრენინგი მოიცავს საოჯახო სასტუმროს მართვის ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს. ტრენინგზე დასწრებისათვის აუცილებელია რეგისტრაციის გავლა.

### შინაარსი

ტრენინგის თემატიკა:

თემა 1: განთავსების ობიექტის ფუნქციონირების სპეციფიკა:

- სოფლად არსებული სასტუმრო სახლების ტიპები და საერთაშორისო სტანდარტი.
- ინდივიდუალური და ჯგუფური შეთავაზებები.
- სტუმრის მიღების პროცედურები. ღამისთევა.
- დალაგების თავისებურებები.
- Covid 19-ის შესაბამისი რეგულაციების გაცნობა.
- სერვისების კალკულაცია.
- ანგარიშსწორების საკითხები.

თემა 2 - სამჯერადი კვების ორგანიზება საოჯახო სასტუმროში და მათი სწორად სერვირება :

- სამჯერადი კვების ორგანიზება საოჯახო სასტუმროში (საუმზე, სადილი, ვახშამი)
- ადგილობრივი კერძების უპირატესობა
- სერვირების სპეციფიკა
- კვების კალკულაცია